ცხადდება წინასწარი შერჩევა
ბუქარესტის უნივერსიტეტში (რუმინეთი) და ლა კორუნიას უნივერსიტეტში (ესპანეთი) ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პერსონალის მობილობისთვის!

<u>კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:</u>

1. <u>ბუქარესტის უნივერსიტეტის შემთხვევაში:</u>

   - *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე დასაქმებულ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართული არიან თსუ-სა და ბუქარესტის უნივერსიტეტს შორის არსებულ ორმაგი პროგრამის მენეჯმენტში (დეკანი, დეკანის მოადგილე, ორმაგი პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი)*
   - *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართული არიან თსუ-სა და ბუქარესტის უნივერსიტეტს შორის არსებულ ორმაგი პროგრამის საკოორდინაციო საქმიანობაში (აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს ფაკულტეტის მიერ გაცემული წერილით)*
   - *თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილების მიმღებ პერსონალს*

2. <u>ლა კორუნიას უნივერსიტეტის შემთხვევაში:</u>

   - *ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მართვაში ჩართული გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის*
   - *ეთნოლოგიის ინსტიტუტის აკადემიური პერსონალისთვის*

<u>ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. **CV ინგლისურ** ენაზე
4. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე, (დანართი 1);

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge **მიმდინარე წლის 8 ნოემბრის 14 საათამდე (თბილისის დროით)!** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.

გასაუბრების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პირად ელ-ფოსტაზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge